მწვანე ალტერნატივა

გარემოსდაცვითი და სოციალური
სამართლიანობისთვის
საქართველოში

მწვანე ალტერნატივას შენიშვნები და კომენტარები

შპს „ჯი თი ემ გრუპ“-ის
ფეროშენადნობთა ქარხნის ექსპლუატაციის პირობების ცვლილების
პროექტის სკოპინგის ანგარიშზე

5 თებერვალი, 2025

წარმოგიდგენთ მწვანე ალტერნატივას შენიშვნებს გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე 2025 წლის 14 იანვარს გამოქვეყნებულ შპს „ჯი თი ემ გრუპ“-ის ფეროშენადნობთა ქარხნის ექსპლუატაციის პირობების ცვლილების პროექტის სკოპინგის ანგარიშზე.

განსახილველად წარმოდგენილი სკოპინგის ანგარიში არ აკმაყოფილებს გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მოთხოვნებს. გარემოზე ზემოქმედების საკითხები ძირითადად ფორმალურად არის განხილული და არ იძლევა გარემოზე ზემოქმედების შეფასების შესაძლებლობას.

ალტერნატივების ანალიზი

გამომდინარე იქედან, რომ დაგეგმილია მოქმედი ფეროშენადნობი ქარხნის ექსპლუატაციის ცვლილება, დოკუმენტში განხილულია მხოლოდ ნულოვანი ანუ არაქმედების ალტერნატივა (5.1 ქვეთავი).

ზემოთხსენებულ ქვეთავში წარმოდგენილი, ინფორმაცია დაუსაბუთებელი და ფორმალური ხასიათისაა. საქმიანობა მხოლოდ დადებითი კუთხით არის განხილული. ქვეთავის შინაარსი არ პასუხობს გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-8 მუხლის ბ-ქვეპუნქტით დადგენილ მოთხოვნას, უმოქმედობის (ნულოვანი) ალტერნატივის შესახებ, *„რომელიც უნდა გულისხმობდეს საქმიანობის განუხორციელებლობის შემთხვევაში გარემოს არსებული მდგომარეობის ბუნებრივად განვითარების აღწერას, რომლის შეფასებაც შესაძლებელია არსებული ინფორმაციის გამოყენებით და მეცნიერულ ცოდნაზე დაყრდნობით“.*

ადამიანის ჯანმრთელობაზე ზემოქმედება

ანგარიშის 6.13 ქვეთავში წარმოდგენილი ინფორმაცია ფაქტიურად არ აღწერს ადამიანის ჯანმრთელობაზე ზემოქმედების საკითხებს. ქვეთავის შესავალში ვკითხულობთ, რომ *„არსებული საწარმო შედის მომეტებული საფრთხის შემცველი მძიმე, მავნე და საშიშპირობებიანი სამუშაოების ჩამონათვალში, ამიტომ მნიშვნელოვანია ადამიანის (როგორც მომსახურე პერსონალის ისე მიმდებარედ მაცხოვრებლების) ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების უზრუნველსაყოფის განსაკუთრებული ზომების მიღება.“* თუმცა, ამის მერე საერთოდ არ არის განხილული, რომ პროექტმა შესაძლოა რაიმე სახის ზიანი მიაყენოს ახლომდებარე დასახლებას, რომელიც საწარმოდან დაახლოებით 350 მეტრით არის დაშორებული.

ს.ს.ი.პ. გარემოს ეროვნული
სააგენტო
„07“ 02 2025 წ.
№ 1122

თბილისი, 0179, საქართველო
ფალიაშვილის ქ. 39b, IV სართ.
ტელეფონი: (995 32) 222 38 74
ელ. ფოსტა: greenalt@greenalt.org
ვებ-გვერდი: www.greenalt.org

ჯანმრთელობაზე ზემოქმედება, ისიც ზედაპირულად, განხილულია მხოლოდ საწარმოში დასაქმებული პერსონალის მიმართ. ძირითადი ყურადღება გამახვილებულია სატრანსპორტო საშუალების ან/და დანადგარების არასწორი მართვით გამოწვეულ ზემოქმედებასთან. საერთოდ არ არის შეფასებული, დასაქმებულებზე ატმოსფერული ჰაერის დაბინძურებით გამოწვეული ზიანი, რომლმაც შესაძლოა მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს მათზე.

ნარჩენების მართვა

როგორც სკოპინგის ანგარიშიდან ირკვევა, საწარმოს ტერიტორიაზე უკვე მოწყობილია წიდის სამსხვრევი დანადგარი. საწარმოო პროცესში გამოსაყენებელი წიდის დროებით განთავსება კი ხდება საწარმოს ტერიტორიაზე, სადაც მოწყობილია ღია სანაყაროები. ყველასთვის ცნობილია, რომ ღია სანაყაროებზე განთავსებული ნარჩენები მუდმივ პრობლემას წარმოადგენს ადგილობრივი მოსახლეობისთვის.

მოგახსენებთ, რომ ჯერ კიდევ 2021 წელს, სოფ. არგვეთის მოსახლეობამ განცხადებით მიმართა გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს, სადაც აღწერდნენ წიდის ღია საწყობებიდან გამოწვეულ პრობლემებზე და ითხოვდნენ დახმარებას. რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, პრობლემა ისევ აქტუალურია და დაუყოვნებლივ რეაგირებას მოითხოვს. მოსახლეობა კვლავ უჩივის სანაყაროებიდან გამოწვეულ ატმოსფერული ჰაერის დაბინძურებას, განსაკუთრებით ქარიან და მშრალ ამინდებში.

გარდა ამისა, დოკუმენტში სრულყოფილად არ არის წარმოდგენილი ინფორმაცია საწარმოო პროცესში გამოსაყენებელი წიდის ოდენობის შესახებ. ასევე, არ არის განხილული ნარჩენი წიდის საბოლოო განთავსების საკითხიც.

კუმულაციური ზემოქმედება

კუმულაციური ზემოქმედება წარმოადგენს ერთ-ერთ საკვანძო საკითხს, ვინაიდან აუცილებელია არამხოლოდ საქმიანობიდან გამომდინარე ზემოქმედებების შეფასება, არამედ იმის განსაზღვრაც, დაგეგმილ საქმიანობას სხვა უკვე არსებულ თუ დაგეგმილ საქმიანობებთან ერთად, რა ერთობლივი ზემოქმედება შეიძლება ჰქონდეს ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე. ამის შემდეგ, უნდა განისაზღვროს ზემოქმედების მასშტაბები და მათი შერბილების შესაძლებლობები.

მიუხედავად იმისა, რომ სკოპინგის ანგარიშში წარმოდგენილია ქვეთავი „6.12 კუმულაციური ზემოქმედება“, ის მეტად ზოგადი ხასიათისაა და არანაირი შეფასების შესაძლებლობას არ იძლევა. ამავე ქვეთავში ნათქვამია, რომ *„გზშ-ს ეტაპზე, დაზუსტებული იქნება ექსპლუატაციის პირობების შეცვლით გარემოში მოსალოდნელი ემისიების რაოდენობები და სახეობები. მავნე ნივთიერებათა განბნევის ანგარიში განხორციელდება 500 მ-იან რადიუსში არსებული საწარმოების გათვალისწინებით, რაც ასახავს კუმულაციურ ზემოქმედებას. თუ გაანგარიშებით მიღებული კუმულაციური ეფექტი იქნება მნიშვნელოვანი, შემუშავებული იქნება დამატებითი შემარბილებელი ღონისძიებები“.*

მოგეხსენებათ, რომ მეტალურგიული საწარმოები, მათი საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების მაღალი რისკის ობიექტებს წარმოადგენს. საწარმოო ტერიტორია მდებარეობს სოფ. არგვეთაში სამრეწველო ზონაში, რომლის სიახლოვესაც, ასევე ფუნქციონირებს სხვა ანალოგიური ტიპის საწარმოები. გამომდინარე იქედან, რომ დაშორება უახლოესი საცხოვრებელი არეალიდან სულ რაღაც 350 მეტრია, მოსალოდნელია როგორც ატოსფერული ჰაერის ხარისხზე ზემოქმედება, ასევე ხმაურის მომატებაც. ამ ყველაფრიდან გამომდინარე, აუცილებელია აღნიშნული საკითხის სათანადოდ შესწავლა და შეფასება.

ამასთან, მიგვაჩნია რომ სკოპინგის დასკვნის გაცემის პროცესში, მხედველობაში უნდა იქნას მიღებული ზოგადად ქ. ზესტაფონში და სოფელ არგვეთაში არსებული საწარმოების ოპერირებით გამოწვეული

გარემოს დაბინძურების პრობლემები. შესაბამისად, ზემოქმედების კიდევ უფრო დამძიმების თავიდან ასარიდებლად, შენიშვნებში ჩამოთვლილი საკითხების დეტალური შესწავლის გარეშე სკოპინგის დასკვნის გაცემა დაუშვებლად მიგვაჩნია.